სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №37
გამარტივებული შესყიდვა

ქ. ბათუმი

18 თებერვალი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, **არარეზიდენტი ფიზიკური პირი ერდოგან ერთუგრულ** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვაფორმებთ წინანამდებარე სახ

ელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბათუმის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში განთავსებული საოფისე ავეჯის შეკეთება-ტექნიკური მომსახურების (CPV კოდი 50850000 - ავეჯის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 -ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 625,00 (ექვსას ოცდახუთი) ლარს, რასაც ანგარიშსწორებისას უნდა დაექვითოს საშემოსავლო გადასახადი - 125,00 (ას ოცდახუთი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის საშემოსავლო გადასახადს - 20 %-ს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით

აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში, საშემოსავლო გადასახადის - 20 % დაქვითვით.

5. მომასხურების მიღება-ჩაბარების წესი, ადგილი და ვადა.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3 მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართებზე: ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე (საბაგიროსთან) მდებარე ტურისტული საინფორმაციო ცენტრი და ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. N 2-ში (ბულვართან) მდებარე ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირებია:

ა) სამეურნეო ნაწილის სპეციალისტი ნიკა ჩიკაშუა.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამეურნეო ნაწილის სპეციალისტი ნიკა ჩიკაშუა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან ფარისტება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები და მისამართები:

ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“	არარეზიდენტი ფიზიკური პირი „ერდოგან ერთუგრულ“ / ERDOGAN ERTUGRUL
მის: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მის: ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ.N31
საიდენტიფიკაციო კოდი: 445388054	პირადი N: 28250419168
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო საწარმო	ს.ს. „იშბანკი საქართველო”
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი – ISBKGE22
ა/ნ – GE24NB0330100200165022	ა/ნ – GE52IS0000647347062006 / GEL
დირექტორი	არარეზიდენტი ფიზიკური პირი
_____ /თინათინ ზოიძე/	_____ /ერდოგან ერთუგრულ /

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება და ძირითადი მახასიათებლები	მომსახურების ჯამური ღირებულება
1	CPV კოდი 50850000 - ავეჯის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე (საბაგიროსთან) მდებარე ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში განთავსებული საოფისე დახლი მაგიდის შეკეთება - ტექნიკური მომსახურება, მათ შორის: თაროების და სხვა აქსესუარების გამაგრება, გარემონტება.	156,25 ლარი
2		ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე (საბაგიროსთან) მდებარე ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში განთავსებული პრინტერის დასადგამი ტუმბოს/დახლის შეკეთება-ტექნიკური მომსახურება, მათ შორის: კარის, საკეტის და სხვა აქსესუარების გამაგრება, გარემონტება.	156,25 ლარი
3		ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. N2-ში (ბულვართან) მდებარე ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში განთავსებული კარადის შეკეთება-ტექნიკური მომსახურება, მათ შორის: თაროების, ტანსაცმლის საკიდის და სხვა აქსესუარების გამაგრება, გარემონტება.	156,25 ლარი
4		ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. N2-ში (ბულვართან) მდებარე ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში განთავსებული პრინტერის დასადგამი ტუმბოს/დახლის შეკეთება-ტექნიკური მომსახურება, მათ შორის: კარის, საკეტის და სხვა აქსესუარების გამაგრება, გარემონტება.	156,25 ლარი
		საერთო ღირებულება	**625,00 ლარი**

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“

დირექტორი

თინათინ ზოიძე

მიმწოდებელი:

არარეზიდენტი ფიზიკური პირი

ერდოგან ერთუგრულ